პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! პარასკევი, 24 ივლისი 1925 წ. წლიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 165 (863) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ჩინეთის მშრომელთა მასები მტკიცედ განაგრძობენ ბრძოლას.

ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელიც თვე ნახევრის წინად მოედო მთელ ჩინეთს ისევ გრძელდება. ჩინეთი განაგრძობს ბრძოლას უცხოელ მოძალადეების წინააღმდეგ.

მაგრამ მებრძოლთა რიგებში ჩვენ ვეღარ ვხედავთ ჩინეთის ბურჟუაზიას. ის უკან იხევს. დაწყებული ბრძოლა აღარ მიყავს ბოლომდი.

ეს კი დიდათ ხელს უწყობს იმპერიალისტებს.

როგორც ინგლისის, ისე ამერიკის და იაპონიის მტაცებლები ყოველ მხრივ სცდილობენ გადმოიბირონ თავის მხარეზე ჩინეთის ბურჟუაზია. ამავე დროს ჩინეთის რევოლიუციის ჟანდარმის როლში გამოდიან მილიტარისტებიც, როგორც ჩჟან-ზო-ლინი, უ-ბეი-კუ და სხვა. ამ გამყიდველ ღენერლების საშუალებით უცხოელი იმპერიალისტები სცდილობენ სისხლში ჩაახრჩონ რევოლიუციონური მოძრაობა და კვლავ განამტკიცონ თავისი ბატონობა ჩინეთში.

მაგრამ ბრძოლის ველს არ სტოვებს ჩინეთის მშრომელი ხალხი.

ის მტკიცედ სდგას შეურიგებელი ბრძოლის პოზიციებზე. მას ხელმძღვანელობს სუნიატ-სენის პარტია გომინდანი.

დღეს ჩვენ გაზეთში თავსდება კანტონის რევოლიუციონური მთავრობის (რომელიც გომინდანის ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება) მოწოდება მთელი მსოფლიოს ყველა ერებისადმი, რომ დაეხმარონ მებრძოლ ჩინეთს უცხოელი კაპიტალის ბატონობისაგან განთავისუფლებაში.

**„ჩვენ მოვითხოვთ, ამბობს მოწოდება, რათა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა დაუყონებლივ აღდგინილ იქნას სხვა ხალხებთან თანასწორობის ნიადაგზე.**

**ჩვენ მოვითხოვთ საკუთარი სახლის გასაღებს“**

და შემდეგ:

მთელი ქვეყნის ხალხებო, ჩვენ მოგმართავთ თქვენ სამართლიანობისათვის. დაგვეხმარეთ რომ გავიმარჯვოთ იმ ბოროტებაზე, რომელსაც არა თანასწორ უფლებიანი ხელშეკრულებები ეწოდება“.

ეს მოწოდება ნათლად ლაპარაკობს იმას, რომ გომინდანის პარტია, მთელი რევოლიუციონური ჩინეთი. მუშების და გლეხების ჩინეთი გამსჭვალულია ერთი სურვილით: მოიშორონ თავიდან უცხოეთის ბატონობა. თუმცა მის რიგებს, როგორც მოსალოდნელი იყო გამოეთიშა ბურჟუაზია და მტრების ბანაკში გადაბარგდა. თუმცა მის წინააღმდეგ დაირაზმა ჩინეთის მილიტარისტული ღენერლები. სულ ერთია საბოლოო გამარჯვება მაინც მის მხარეზე იქნება.

ადრე თუ გვიან მშრომელთა ჩინეთი დაამსხვრევს როგორც შინაურ ისე გარეშე იმპერიალისტების ბატონობის ტახტს.

და ეს დროც შორს არ არის.

## „ვაჭრობა გრძელდება.“

(„იზვესტიას“ წერილი).

ამ სათაურით, გერმანიის საპასუხო ნოტის გამო საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ. „იზვესტია“ სწერს:

„გერმანიის საპასუხო ნოტაში საქმიანი მნიშვნელობა აქვს ორ მუხლს.

ერთი რომ გერმანია თანხმდება რა ერთა ლიგაში შესვლაზე, მოითხოვს ვალდებულებებისაგან განთავისუფლებას ერთა ლიგის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, სადაც ნათქვამია, რომ მიიღოს მონაწილეობა ლიგის შეერთებულ სამხედრო გამოსვლაში იმ ერის წინააღმდეგ, რომელიც არ დაემორჩილება ერთა-ლიგის გადაწყვეტილებასო.

მეორედ, გერმანია მოითხოვს გათავისუფლებულ იქნას ვალდებულებისაგან — გაატაროს ერთალიგის, ან მასში შემავალ სახელმწიფოს ჯარები იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც არ დაემორჩილება ერთალიგის გადაწყვეტილებას.

ამ მოთხოვნილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისთვის, ვინაიდან საგარანტიო აქტი მიმართულია პირველყოვლისა ჩვენს წინააღმდეგ: მან უნდა შექმნას ინგლისისათვის ძლიერი ზურგი ევროპაში იმ შემთხვევისთვის, თუ რომ შეტაკება მოუხდება მას საბჭოთა კავშირთან, და იმავე დროს უნდა მისცეს ინგლისს, როგორც ერთალიგის ხელმძღვანელ სახელმწიფოს, შესაძლებლობა გამოიყენოს გერმანია ბაზად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გერმანიის პასუხი ნიშნავს მოლაპარაკების არსებითად დაწყებას გერმანიასა და საფრანგეთს შორის. აქამდის კი გერმანიის მემორანდუმი 7 თებერვლიდან და საფრანგეთის ნოტა წარმოადგენდა მხოლოდ ტაქტიკურ მანევრებს, რომელთა შესახებ არ შეიძლებოდა თქმა თუ რა ხასიათს მიიღებდენ. ეხლა კი დაწყებულია ომი ძირითად პოზიციებზე.“

# ახალი რადიო-ამბები

## შვეციისა და გერმანიის დელეგაციები მოსკოვში.

### მიტინგი ლენინის აკლდამასთან.

წითელ მოედანზე გაიმართა მიტინგი გერმანიისა და შვეციის მუშათა დელეგაციების მოსკოვში ჩამოსვლის გამო.

გერმანიის მუშათა დელეგაციამ გვირგვინით შეამკო ლენინის საფლავი, რის შემდეგ მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ მიხაილოვმა გახსნა მიტინგი.

პირველად გამოვიდა რიკოვი, რომელსაც მხურვალე ოვაციებით შეხვდენ. რიკოვი მიესალმა დელეგაციას. მისი სიტყვები დაიფარა ოვაციებით და ინტერნაციონალის სიმღერით.

შემდეგ ილაპარაკა ბუხარინმა, რომელმაც აღნიშნა ის მომენტები, როცა დასავლეთის პროლეტარიატი დახმარებას უწევდა საბჭოთა კავშირის მუშებს.

რამოდენიმე ორატორის შემდეგ გამოვიდა გერმანიის დელეგაციის წევრი ფრეიბერგერი, რომელმაც განაცხადა: „აქ არის ადგილი, სადაც განისვენებს მარქსისა და ენგელსის გამოჩენილი მოწაფის—ლენინის ნეშტი და მე მოგესალმებით თქვენ ყრილობაზე, რომელიც მართლაც ინტერნაციონალური მიტინგია. მილიონი პროლეტარიატი ელოდება ჩვენგან სიმართლეს და ჩვენ კიდეც ვეტყვით მათ ამ სიმართლეს, რა ნაირადაც არ უნდა შეგვიშალოს ხელი ბურჟუაზიამ.“

შემდეგ მიტინგს მიესალმა შვეციის დელეგატი ჩილბუმი და გადასცა პროფკავშირთა საბჭოს დროშა შვეციის დელეგაციის სახელით.

## გერმანიის დელეგაცია მოსკოვის საბჭოში.

22 ივლისს მოსკოვის საბჭოს ესტუმრა გერმანიის მუშათა დელეგაციის მთელი შემადგენლობა. მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლიუბიმოვმა მიესალმა დელეგაციას.

პასუხად ფრეიბერგმა განაცხადა: „ჩვენ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა მუშები თავიანთი ხელებით შეჰქმნიან სოციალისტურ წესწყობილებას. ჩვენ გადავსცემთ ამას გერმანიის მუშებს, რომელთაც ეს ფაქტი გაამაგრებს გამოცდების დროს. დღევანდელი მთავარი ამოცანაა ერთიანი ფრონტის შექმნა. ჩვენი დელეგაცია ყოველ ღონისძიებას იხმარს ამ მხრივ“

შემდეგ ლიუბიმოვმა გააცნო დელეგაციას მოსკოვის საბჭოს ყველა დარგის მუშაობა. საუბრის შემდეგ დელეგატები გაემართენ სხვა დაწესებულებებში.

## შვეციის დელეგაცია ფაბრიკა-ქარხნებში.

შვეციის დელეგაციამ დაათვალიერა მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნების, სადაც გაეცნო მუშების ყოფა-ცხოვრებას.

დელეგატებს შორის აღმოჩნდა ელექტრო-ტეხნიკები, რომლებიც გაკვირვებას გამოსთქვამდენ სატელეფონო კავშირისა და რადიო-ტეხნიკის ჩქარი განვითარებით.

## კანტონის მთავრობის მოწოდება.

**„ჩვენ მოვითხოვთ ჩვენივე სახლის კარების გასაღებს“.**

კანტონის ეროვნულმა მთავრობამ გამოუგზავნა საბჭოთა კავშირის ცაკს მოწოდება, რომელიც მიმართულია მთელი ქვეყნების ხალხებისადმი.

კანტონის მთავრობა ახასიათებს ჩინეთის მდგომარეობას, რომელზედაც ბატონობენ კაპიტალისტური ქვეყნები და გამოსთქვამს იმედს, რომ სანამ არა თანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები არ მოისპობა ჩინეთს საშუალება არ ექნება „მოაწესრიგოს თავისი საქმეები“.

„ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ—ნათქვამია მოწოდებაში—რათა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა სასწრაფოდ იქნას შეცვლილი თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ჩვენ მოვითხოვთ ჩვენივე სახლის კარების გასაღებს.

არა თანასწორუფლებიან ხელშეკრულების განადგურება ერთბაშად მოსწყვეტს იმ ფესვებს, რომლებიც ასაზრდოებდენ ჩვენს უბედურებას, პოლიტიკურსა და ეკონომიურ ჩამორჩენილობას.

ხალხნო, ყველა ქვეყნისა, ჩვენ მოგმართავთ თქვენ სამართლიანობისათვის. დაგვეხმარეთ ბოროტების დამარცხებაში, რომელსაც არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება ეწოდება“.

## საფრანგეთის იურისტები დაინტერესებული არიან საბჭოთა იუსტიციით.

ამ დღეებში საფრანგეთის თემთა პალატაში მოხდა პარლამენტის საფრანგეთ-საბჭოთა ჯგუფის სხდომა. ცნობილმა საბჭოთა იურისტმა პროფესორ ჩლენოვმა მოხსენება გააკეთა საბჭოთა იუსტიციის შესახებ. ჩლენოვის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია პარლამენტის წრეებში.

# საბჭოთა კავშირში

## ტრაქტორები სოფლებისთვის.

ნოვოროსისკში უცხოეთიდან მიღებულ იქნა 525 ტრაქტორი (მიწის დამმუშავებელი მანქანა), რომლებიც უკვე განაწილებული და გაგზავნილია ადგილებზე, მეტნაწილად ვოლგას მხარეში და ჩრდილოეთ კავკასიაში.

ახლო ხანში მოელიან კიდევ 250 ტრაქტორს.

## სამხარეთმცოდნეო ყრილობის გახსნისათვის.

სამხარეთმცოდნეო ყრილობის გახსნისთვის ბათუმში ეწყობა გამოფენა. განზრახულია ოთხი განყოფილების გახსნა. სუბტროპიკულის, ყოფა-ცხოვრებითი, სამთო და მესაქონლეობის.

## განათლების ფრონტზე.

**შენობების აგება სოფლებისთვის.**

ქედას სამაზრო აღმასკომი შეუდგა ახალი სკოლების აგებას შემდეგ სოფლებში: სახალიბეში, რანდალოში, ცონირისში, მეგობნეში და გულეში.

## ამხ. გორინ-გალკინის გარდაცვალება.

ლენინის სახელობის მცხოვან რევოლიუციონერთა სახლში ფილტვის ანთებით გარდაიცვალა რუსეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამარსებელი გორინ-გალკინი.

# მშრომელი ხალხის გამცემლები პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე.

**21 ივლისის დილის სხდომა.**

გრძელდება მოწმე სეით დევდარიანის დაკითხვა.

დამცველი **მესხიშვილი** ეკითხება მოწმეს—სავალდებულო იყო თუ არა, რომ პრინციპიალური საკითხი გატარებულიყო ჯერ ცეკაში; ჰქონდათ თუ არა თქვენს ამხანაგებს დავალება გაეტარებიათ ცეკას ხაზი პარიტეტულ კომიტეტში?

**დევდარიანი:** პრინციპიალური საკითხები ირჩეოდა ცეკაში. ჩვენს წარმომადგენელს დავალებული ჰქონდა გაეტარებინა ცეკას ხაზი.

დამც. **გელაზაროვი:** რა დამოკიდებულება ჰქონდა პარიტეტულ კომიტეტთან თქვენს პარტიას?

**დევდარიანი:** ჯერ ერთი ორგანიზაციული, მეორეც ის, რომ ცეკა ცდილობდა სოც. დემოკრატიის ჰეგემონია კომიტეტში დაცული ყოფილიყო ეროვნულ ფრონტზე და ჩვენი წარმომადგენელი ყოფილიყო კომიტეტის თავმჯდომარე.

**გელაზაროვი:** რა ხასიათის მუშაობა ჰქონდა დასახული პარიტეტულ კომიტეტს?

**დევდარიანი:** შერიგებითი ხასიათის, კულტურული ხასიათის, ეროვნულ თვითცნობიერების გატარებისა და ამათ დაცვის.

შემდეგ დევდარიანი აძლევს განმარტებას შეკითხვებზე სხივილების პოზიციისა და მათ დამოკიდებულებას მენშევიკურ პარტიასთან.

**დადიანი:** თქვენ ბრძანეთ, რომ ევროპიდან დახმარების იმედი რომ არ ყოფილიყო, საქართველოში აჯანყება არ მოხდებოდა, რა უკმაყოფილებაც არ უნდა ყოფილიყო. ეს უბრალო ხმები იყო, თუ ქონდათ თქვენ რაიმე საბუთი ამ ხმების გასავრცელებლად?

**დევდარიანი:** ასეთი საბუთები არ ყოფილა. მე მგონი, არც შემდეგ იყო, მე ვფიქრობდი—შესაძლებელი იქნება თუ არა აჯანყება საქართველოში და ვერც ვპოულობდი რაიმე გარანტიას, არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ნათქვამი იყო მხოლოდ, რომ თუ საბჭოთა ხელისუფლება ჩამოვარდებოდა და ჩვენ დავბრუნდებით, ევროპა არ მისცემს მას (საბჭოთა ხელისუფლებას) დაბრუნების ნებასო. მგონია ასევე ფიქრობდა ჟორდანიაც, როცა ამბობდა ევროპა დაგვეხმარებაო.

დახმარება მე მესმის, როგორც ფინანსიური.

**ზედგინიძე** (დამცველი): თქვენ სთქვით, რომ იძულებული იყავით არალეგალურ მუშაობაზე გადასულიყავით. დარჩა თუ არა ფორმულა დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ, თუ შეიცვალა?

**დევდარიანი:** ეს ცვლილება მოხდა ჩემს აზროვნებაში, როცა მე საგანგებო კომისიაში გავიცანი მასალები. ფორმა დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ—აყენებდა საქართველოს იმ ძალებთან, რომლებსაც სოციალიზმთან არავითარი კავშირი არ აქვთ.

ევროპის დემოკრატიამ დიდი სისუსტე გამოიჩინა ბევრ საკითხებში. მე ვფიქრობდი, ევროპაში რეაქცია იმარჯვებს; ვსთქვათ ჩამოვიდა ჟორდანია, მისი მთავრობა ვერ გაუძლებს რეაქციონურ ძალებს, მას ჩამოაგდებს რომელიმე მონარქისტი და ამრიგად ჟორდანია ხდება რეაქციის ხიდი. მე წამოვაყენე ფორმულა:—„საბჭოთა ხელისუფლების გზით დემოკრატიზმისაკენ!“ მე ეხლაც ვაყენებ მას და ვხედავ რომ ის ტარდება სინამდვილეში. ჩემის აზრით ეს იყო და არის შესაძლებელი თანამშრომლობა, რომელიც ჩვენ დავისახეთ მიზნად.

შემდეგ ბრალდებული **ქარცივაძე** ეკითხება თუ რას წარმოადგენს მენშევიკურ პარტიის ბიუროები საზღვარგარედ, გადაიქცნენ ისინი ინტერპარტიულ კომიტეტებად თუ არა?

**დევდარიანი:** როგორც მახსოვს, ისინი არ გადაქცეულან ინტერპარტიულ კომიტეტებად.

**მაჭავარიანი:** იყო თუ არა პარიტეტულ კომიტეტში ლაპარაკი შპიონაჟისა და ბანდიტური გამოსვლების შესახებ.

**დევდარიანი:** ჩემს დროს ცეკას არ ჰქონია კავშირი ბანდიტებთან. შემდეგში, შეიძლება, იყო ასეთი კავშირი.

**ანჯაფარიძე** (ბრალდებული) ხომ არ მოსულა ინფორმაცია, რომ ოსმალეთი გვპირდება აქტიურ დახმარებას?

**დევდარიანი:** არაფერი მაგისი მსგავსი არ ყოფილა. იყო მხოლოდ ლოზანის შეთანხმების შემდეგ ინფორმაცია, რომ ევროპის სახელმწიფოები იპოვიან ოსმალეთთან საერთო ენას.

**ჯინორია** (ბრალდებული). ის სამხედრო ცნობები, რომელიც თქვენს არქივში იყო, ეგზავნებოდა უცხო სახელმწიფოებს, თუ მარტო ჩვენ პარტიულ წრეებს?

**დევდარიანი.** როცა ცეკას მდივანს ვკითხე, მიპასუხა, რომ ცნობები ეგზავნება ნოე ჟორდანიასო. მაგრამ როცა მე მოვითხოვე მოსპობილიყო ეს, მან მითხრა, რომ ეხლა ის უკვე მოსპობილიაო.

ჩერქეზიშვილი (დამცველი): იყო თუ არა ონიაშვილი სამხედრო ორგანიზაციაში, ან პარიტეტში?

**დევდარიანი:** სამხედრო ორგანიზაციაში ვერავინ გააგზავნიდა მას. ეს იქნებოდა დაცინვა. პარიტეტულ კომიტეტში ის არ ყოფილა.

**ქარცივაძე:** იყო თუ არა ცდა რუსეთის სოციალ-დემოკრატებთან საერთო ფრონტის დამყარების შესახებ გამოყოფის შემდეგ?

**დევდარიანი:** ასეთი საკითხი არ დასმულა ცეკაში, ეს ჩემს თეზისებში იყო გათვალისწინებული.

**ქავთარაძე:** (საზოგადო ბრალმდებელი) მოწმემ განაცხადა, რომ ფორმულა დემოკრატიის საშუალებით სოციალიზმისაკენ არის რეაქციონური ფორმულა. უყურებს თუ არა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია ამ ფორმულას, როგორც რეაქციონურს?

**დევდარიანი:** მე არ ვამბობ, რომ ეს ფორმულა თავისთავად რეაქციონური იყოს. მე ვამბობ რომ იგი დღევანდელ პირობებში გაივსო რეაქციონური შინაარსით. სხვა პირობებში ეს შეიძლება არ ყოფილიყო რეაქციონურ ფორმულა.

**ქავთარაძე:** გასაბჭოებულ საქართველოს პირობებში როცა ამ პარტიებს მოუხდათ არალეგალური მუშაობა ამ ფორმულას რანაირ ხასიათს აძლევდით—რეაქციონურს თუ პროგრესიულს?

**დევდარიანი:** საქართველოში და რუსეთის პირობებში ამ ფორმულას რეაქციონურად ვსთვლი.

**ქავთარაძე:** მაშასადამე მენშევიკები იცავენ ამ შემთხვევაში სრულიად რევოლიუციონურ საქმეს, რადგან ამ ფორმულის ნიადაგზე ხდგანან?

**დევდარიანი:** როცა დღევანდელ პირობებში ყოფილი მთავრობა ამას აყენებს ევროპაში, იგი ობიექტიურად რეაქციის გზას ადგია.

„დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“ ეხლა არის ფორმულა, რომელიც ფაქტიურად მიღებული აქვს საბჭოთა ხელისუფლებას თეორეტიულად და ცდილობს გაატაროს ცხოვრებაში.

# ტერარმიელთა სწავლებისათვის.

## რა საჭიროა მეომრისთვის ნიჩაბი.

როგორც შაშხანასა და გრანატებს, ჩვენი ახალგაზრდა ცვალებად არმიელები უნდა გაეცნონ აგრეთვე სხვა და სხვა ხელსაწყოსა და იარაღს, მაგ. ბარს, ნაჯახსა და სხვ. ტერარმიელმა იცის, რომ ტყვიით უნდა შემუსროს მტერი შორ მანძილზე, გრანატით—უახლოეს მანძილზე, ხიშტით ან კონდახით—როცა მტერთან პირისპირ წარსდგება. მაგრამ რაღა მოხელეა და რატომ ეძლევა მეომარს ბარი, ნაჯახი, წერაქვი, თოხი და სხვა? ნუთუ ბარი ისე საჭიროა სამხედრო საქმეში? დიაღ, ისევე საჭიროა, როგ., მაგ., შაშხანა.

ყოველ წლობით, ცეცხლის მტყორცნი იარაღები უმჯობესდებიან. ცეცხლი ბრძოლაში დღეს იმდენად ძლიერი გახდა, რომ მტერთან ახლოს მისვლა უმსხვერპლოდ შეუძლებელია. და აი ამიტომ, რომ შემცირებულ იქნას მსხვერპლი, ჩვენ გვეხმარება ნიჩაბი. ნიჩბის საშუალებით შეიძლება ტყვიისაგან საფარის აგება. ძველ დროში მეომარი ატარებდა ფარსა და ჯავშანს, რომლებიც იფარავდენ მას ისრისა და შუბისაგან. დღევანდელი ტყვიის წინააღმდეგ ფარი ცოტა არ იყოს უძლურია, ვინაიდან ტყვია ხვრეტს თითქმის ნახევარ ვერშოკიან ფოლადს.

ცხადია ასეთი ფარი მეტად მძიმე იქნება და ქვეით მეომარს არ შეუძლია მისი ტარება. ამავ დროს კი იგივე ტყვია მიწაში შორს ვერ მიდის, ცვდება და რჩება; ჩვეულებრივად საკმარისია მიწის დაბალი ნაყარი, რომ ტყვია შიგ გაეჩხიროს. ასეთი საფარის ასაგებად საჭიროა ბარი. იმპერიალისტურ ომის დასაწყისში გერმანელებთან, რუსული ნაწილები ხშირად ჰყრიდენ ასეთ ხელსაწყოებს (ნიჩაბს, ბარს და სხვა), მაგრამ პირველ შეტაკებების შემდეგ ბარისადმი დამოკიდებულება მეტად შეიცვალა: ბარი ასეულში იმდენივე აღმოჩნდა, რამდენიც ხიშტი, ანუ მეომარი; ასეთივე პატივით ეპყრობოდენ წერაქვსა და თოხს.

ნაჯახზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, ის მუდამ საჭიროა წინსვლის დროს, დასვენების დროს, ბრძოლაში სანგრებისა და სხვა და სხვა საფარის აგების დროს. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ სინამდვილემ, ე. ი. საბრძოლო გარემოებამ ყველაზე უფრო დაანახა მეომრებს ბარის, ნაჯახის, წერაქვის მნიშვნელობა და სხვა.

ამ რიგად ბარი იცავს მეომრის სიცოცხლეს, აძლევს მას საიმედო საფარს ბრძოლაში და ამ რიგად უმსუბუქებს მას ბრძოლის წარმოებას.

ხოლო თუ კი ეს ასეა, ნიჩაბი მუდმივი და განუყრელი კუთვნილება უნდა იყოს მეომრისთვის. არ შეიძლება შევხედოთ ნიჩაბს, როგორც ზედმეტ ტვირთს, რომელიც მხოლოდ ამძიმებს მეომრის ისედაც მძიმე ბარგს. საჭირო დროს ბარი სამსახურს გაუწევს მეომარს და დაუმტკიცებს, რომ, ის მისი ერთგული და საიმედო მეგობარია. ვ.

# არმიის მეოთხე ოლიმპიადა.

**21 ივლისი, მე-2 დღე.**

დილიდანვე გრილი ამინდია, სიცხე არაა იმდენად საგრძნობი, როგორც წინა დღით, მაგრამ მტვერის ბუღი თვალებს სწვავს. შეჯიბრი მაინც გაცხოველებულად და მხიარულად მიდის. კერძო ხალხი და სპორტსმენები, მხიარული ხმაურით ეგებებიან თვითეულ გამოსვლას.

დილით სწარმოებს გადახტომა გარბენით.

ვარჯიშის ეს სახე ავითარებს ფეხის მუცლის გარესკნელის კუნთებს და ზურგის, ხელებისა, და კისრის კუნთების შეთანხმებულ მოქმედებას.

ხტომა მოითხოვს ენერგიულ გაქცევას და ძლიერ იმპულსს სხეულის სიგრძეზე გადასროლისთვის; ხტომა ავითარებს გამბედაობას, ნებისყოფას და შეუდრეკლობას საჭირო მომენტში დაბრკოლების დაძლევის დროს, რაიც ხშირად შეხვდება მეომარს ბრძოლის პირობებში; მაგ. ორმოზე, თხრილზე და სხვა ასეთებზე გადახტომა.

საღამოს გაიმართა **ხტომა მაღლა, გარბენით.**

ეს ვარჯიში დამსწრეებში იწვევს ახალ ინტერესს და ყოველ მოხდენილ ხტომის შემდეგ ისმის მქუხარე ტაში.

ვარჯიშის შედეგი:

პირველი ადგილი დაიკავა მე-3 ქართულ ლეგიონმა (შხვაცებაია)—160 სანტიმეტ. მე-2 ადგილი—აზ—დივიზიის მე-3 ტერლეგიონმა (ესინმა)—157 სანტიმ. მე-3 ადგილი მე-6 ქართულ ლეგიონმა (სტეფანინი)—152 სანტიმ.

ალმა „ხტომა“ ავითარებს კუნთების იმავე ჯგუფს და გარდა ამისა ავითარებს დაბრკოლების ძლევის უნარსა და თვალზომარს; განსაკუთრებით ავითარებს ფეხის ღონეს, სხეულის მოქნილობას და სიმსუბუქეს.

**ბაგირზე აცოცება** მიდის სასპორტო დარბაზში.

შედეგი:

1-ლი ადგილი დაიკავა კავკასიის მე-8 მსროლელმა ლეგიონმა (ჩაჩნაცკიმ)—15 მეტრი, მე-2 ადგილი—იმავე ნაწილმა (კრივენენკომ)—14,5 მეტ. მე-3 ადგილი—სანაპირო სკოლამ (კულიკოვმა)—13 მეტრი.

ბაგირზე აცოცება ფეხების დაუხმარებლად ავითარებს ხელების, მხრების, წელის და მუცლის კუნთებს, და აგრეთვე ფილტვებს სუნთქვის ზომიერ გამომუშავებით. იმუშავებს გამბედაობას, ნებისყოფას და შეუდრეკლობას. საბრძოლო გარემოებაში ბაგირზე აცოცება საჭიროა ხიდან ან სვეტიდან თვალთვალისათვის და სხვა.

**22 ივლისი მე-3 დღე.**

დილით სწარმოებდა ჯგუფური სირბილი—(3—3 კაცი) 3.000 მეტრზე. შეჯიბრი მოხდა ვაკეში ქართულ გაერთიანებულ სკოლასთან.

შედეგი:

სომხეთის მეორე ლეგ.—13 წუთი, 35,8 წამი, კავკასიის მე-2 მსროლ. ლეგ,—13 წუთი, 17 წამი, კავკ. მესამე ცხენოსანმა ლეგ.—14 წუთი 59,7 წამი, მე-3 ქართულ მსრ. ლეგ.—15 წუთი, მე-8 კავკ. მსრ. ლეგ.—15 წუთი 3,4 წამი, პირველ ქართულ ლეგიონმა—15 წუთი 45,9 წამი, აზდივიზიის მე-3 ტერლეგიონმა—16 წუთი, 44,2 წამი, სანაპირო სკოლამ—17 წუთი, 15,5 წამი.

რბენა შორ დისტანციაზე ავითარებს მთელ სხეულისა და უმთავრესად, ფეხის კუნთებს, აძლიერებს გულისა და ფილტვების მოქმედებას, იმუშავებს წესიერ სუნთქვას, რაიც საერთო ანგარიშით ავითარებს ამტანობას. ე—მი.

# სამხედრო ქიმია.

**ქიმიური და სამხედრო ქიმიური ნივთიერებათა მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობაში.**

### ქლორპიკრინი.

ქლორის შეერთებით ნახშირმჟავასთან ღებულობენ ძლიერს, ცრემლის მგვრელ, მხუთარსა და პირმღებინებელ საბრძოლო ნივთიერებას—„ქლორპიკრინს“. ეს ქლორპიკრინი სასოფლო მეურნეობაშიაც იხმარება, როგორც „საბრძოლო ნივთიერება“ პატარა მავნებლების წინააღმდეგ, რომლებიც აფუჭებენ მარცვლებს ბეღლებში და ორმოებში.

საკმარისია დააკმიო ბეღელში სულ მცირედი რაოდენობა ქლორპიკრინის და შემდეგ მჭიდროდ დაჰკეტო ბეღლის კარები 3—4 საათით, რომ ყველა ეს მავნებლები განადგურებულ იქნან. ხორბალს ამით არავითარი ზიანი არ მოსდის ე. ი. არ ისპობა მისი მესაზრდოებელი ნივთიერებანი და სათესლედაც ვარგა.

### გოგირდნახშირბადი.

კარგად სპობს აგრეთვე მინდვრის, ბოსტნებისა და ბაღების მავნებლებს მეორე ქიმიური ნივთიერება—„გოგირდნახშირბადი“. ეს არის გამჭვირვალე, მსუბუქი სითხე, რომლის, ორთქლი მეტის—მეტად შხამიანია. სამხედრო საქმეში გოგირდნახშირბადი იხმარება, როგორც ფოსფორი, გამხსნელი, ამნთებ და ამფეთქებელ ნივთიერებათა მოსამზადებლად, ხოლო მშვიდობიან ქიმიურ წარმოებასა და ტეხნიკაში მას ხმარობენ ქონისა და ზეთის გასახსნელად ე. ი. ზეთის გამოსაღებად მცენარეების სხვა და სხვა თესლიდან მას ამზადებენ გოგირდისა და ნახშირისაგან.

### გოგირდი.

გოგირდიც, ანუ როგორც მას ეძახიან მეორენაირად ყვითელი, მწველი გოგირდი, იხმარება აგრეთვე სასოფლო მეურნეობაში.

გოგირდი იხმარება კიდევ, როგორც წამალი, როცა ცხოველები ავად ხდებიან ქეცით ანუ მუნით. ამ მიზნით ქეცით დაავადებულ ცხოველს შეუკმევენ ცეცხლ მოკიდებულ გოგირდის ბოლს (გოგირდის გაზს), რომელიც ადვილად კურნავს ქეცს.

ქიმიურ მრეწველობაში გოგირდი იხმარება დიდძალი რაოდენობით სხვადასხვა ნივთიერებათა და განსაკუთრებით, გოგირდის სიმჟავის მისაღებად. უკანასკნელი მეტად აუცილებელი რამაა სხვა და სხვა სახის მრეწველობაში. უმისოდ თითქმის შეუძლებელია ამფეთქებელ და ბევრ მომწამლავ ნივთიერებათა მიღება.

### ნახშირის დაწვა.

ქიმიური მრეწველობის განვითარება და ქიმიურ ცოდნათა შეძენა კარგ გავლენას ახდენს აგრეთვე კიდევ ერთ სასოფლო მეურნეობის დარგზე—ნახშირის დაწვაზე.

დღემდის დიდძალი ტყე ნადგურდებოდა ნახშირის მისაღებად ძველი, კუსტარული საშუალებით. ნახშირის ასეთი დამზადების დროს სრულიად იკარგებოდა ისეთი პროდუქტები, როგორიცაა ფისი, ზეთი, სკიპიდარი, ხის სპირტი და სხვა. ხოლო იმავ დროს კი ეს პროდუქტები მეტად ძვირფასია და თუ რომ მათ კარგად გამოიყენებს გლეხი, ამით დიდ სარგებლობას მოუტანს თავის მეურნეობას და მაშასადამე, სახელმწიფოსაც. ასეთსავე შემოსავლიან წყაროდ გახდებოდა ღვინის გამოხდა, საწამლო ბალახების დამზადება და სხვა.

### დასკვნა.

ჩვენს წერილებში აღნიშნული გვქონდა მხოლოდ რამოდენიმე საერთო წერტილი სამხედრო და სასოფლო სამეურნეო ქიმია და აღნიშნული გვქონდა აგრეთვე ქიმიურ ნავთიერებათა უმნიშვნელო ნაწილი ამა თუ იმ მიზნისთვის. იმავ დროს კი, სამხედრო, სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო ქიმია იმდენად მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ მათ შორის საზღვრის გატარება ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ ჩვენი მშვიდობიანი ქიმიური მრეწველობის განვითარებით, ქიმიური ცოდნისა და გამოცდილების მიღებით, ჩვენ იმავ დროს ვაუმჯობესებთ და ვაძლიერებთ ჩვენი ქვეყნის კულტურულ, ეკონომიურ და სამხედრო ძლიერებას, ვაუმჯობესებთ ჩვენს საერთო კეთილდღეობას.

**ლ. ვორონოვი.**

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## საზაფხულო კლუბის გახსნა.

**მე-6-ე ტერ ლეგიონი.**

20 ივლისისათვის უკვე მზად იყო ჩვენი საზაფხულო კლუბის შენობა და მის ირგვლივ თვითეული ასეულის მიერ ცალ-ცალკე გაშენებული ლენინის მინდვრები, რომელთა მოწყობაში და გამშვენიერებაში ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ ასეულების ცვალებადელები. 21 ივლისი—კლუბის გახსნის დღეც დადგა.

საღამოს 7 საათია. მახლობელ მთიდან გადმოპარული გრილი ნიავი უალერსებს ლენინის მინდვრების თავზე აღმართულ წითელ დროშებს. მთელი ლეგიონის შემადგენლობა ჩამწკრივებულია ყაზარმების წინ. აქვეა ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლაც.

უფროსთა და პოლიტშემადგენლობას ჯგუფ-ჯგუფად მოუყრიათ თავი და ტკბილად ბაასობენ.

— უფპოლიტ-შემადგენლობა თავ თავიანთ ადყილებზე-ისმის ლეგიონის თავის ხმა. ყველა თავ-თავიანთ ადგილს იჭერს.

— მე-6 ლეგიონო სმენა! მარცხნივ სალამი!—გაისმა ლეგიონის მეთაურის განკარგულება. მიგვესალმა დივიზიის უფროსი და სამხედრო კომისარი. წითელ-არმიელთა საპასუხო „ურა“ და „ვაშას“ ძახილი აყრუებს არე მარეს. მისალმებების შემდეგ დაიშალა მთელი ლეგიონი და გაიმართა სიმღერა და ცეკვა-თამაში. ზოგი თარზე უკრავს, ზოგი მხიარული სიმღერას აყოლებს ფეხებს.

ჩვენი უფროსი ხელმძღვანელები და გარეშე ხალხი განცვიფრებაში მოჰყავს მშვენივრად მოწყობილ და ელექტრონის ჯაღებით გაჩირაღდნებულ ლენინის მინდვრებს.

ცოტა ხნის შემდეგ ლეგიონის ბიურო-კოლექტივის მდივანი ხსნის საზეიმო კრებას. ირჩევა პრეზიდიუმი 5 კაცისაგან.

მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან დივიზიის სახელით დივიზიის მეთაური ამხ. ქუთათელაძე, პოლიტ-განყოფილების სახელით დივიზიის სამხედრო კომისარი ამხ. მარქაროვი. წითელი არმიისა და ფლოტის სახლიდან ამხ. ჭანტურიშვილი, და თბილისის ტრამვაის მუშების წარმომადგენელიც.

საპასუხო სიტყვით გამოდის ამავე ლეგიონის სამხედრო კომისარი ამხ. ცინცაძე. ორატორების მიერ წარმოთქმულ სიტყვებს ფარავს ხანგრძლივი ტაში და ინტერნაციონალი შესრულებული თვით ცვალებადელთა მომღერალთა გუნდის მიერ, შემდეგ იმართება პოლიტ-ლატარია. კითხვებზე სწორად მოპასუხე ცვალებადელებს ეძლევათ საჩუქრებად წიგნები და რვეულები.

პოლიტ-ლატარეიის შემდეგ—მოეწყო ცვალებადელის ლიტერატურული გასამართლება, რომელმაც დაარღვია საგარნიზონო წესდება და საგუშაგოზე დაიძინა.

როგორც სასამართლოს წევრებად, ისე ბრალმდებლად და დამცველად გამოვიდნენ თვით ცვალებადელები და მშვენივრადაც შეასრულეს თავისი როლი.

სასამართლომ ერთი წლის ვადით გამასწორებელი სახლში მოთავსება მიუსაჯა ბრალდებულს, რამაც მხურვალე ტაში გამოიწვია წით. არმიელებში. შემდეგ ადგილობრივი მომღერალთა გუნდის მიერ შესრულებულ იქნა სხვა და სხვა სიმღერები დისციპლინის შესახებ. ნაშუადღევის პირველ საათზე სრულიად კმაყოფილნი სტუმრები და წითელი მოლაშქრეები გაეშურენ თავ-თავიანთ ბინებისაკენ.

**სამხკორი ნ. ასათიანი.**

## წვევამდელნი გულმოდგინეთ მეცადინეობენ.

**მე 5 ლეგიონი.**

ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ ლეგიონს ესტუმრა ცვალებად შემადგენლობა. ახალ მოსულებს ლეგიონი დიდის სიხარულით მიეგება.

პირველად წვევამდელებს ეხამუშათ ყაზარმის ცხოვრება, მაგრამ შემდეგ, როცა კარგად გაეცვნენ, სთქვენ, რომ მართალი ყოფილან ისინი, ვინც წითელ ყაზარმას გვიქებდაო. ტანისამოსის დარიგების შემდეგ ისინი დაანაწილეს ასეულებში. მათ შორის იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარი, რომელთაც დაუწყეს სწავლა.

სისტემატიურად ტარდება პოლიტსაათი, სამხედრო საქმის შეთვისებას გულმოდგინეთ ეკიდებიან ამხანაგები. დისციპლინას ისინი შეგნებულად ითვისებენ. მხოლოდ საჭიროა ერთ გარემოებას მიექცეს ყურადღება; ლეგიონის ასეულები მოთავსებულია სხვა და სხვა ადგილას და ჩვენ გვიხდება ნახევარი ვერსტის მანძილზე სიარული სხვა ასეულში პოლიტსაათის მოსასმენად.

იქიდან ხშირად ვბრუნდებით გვიან და ვერ ვასწრებთ სხვა საგნებში მეცადინეობას.

იმედია ეს ნაკლი გამოსწორებული იქნება.

**სამხკორი კოლო.**

## მე-4-ე ლეგიონის 1-ლი ასეულის ცხოვრებიდან.

ჩვენი ნაწილი შეივსო ცვალებად არმიელებით 15 ივნისს. ყველა სიხარულით მოდიოდენ ყაზარმისაკენ.

— მივდივართ წითელ არმიაში და იქიდან მომზადებული დავბრუნდებით სახლში—გაიძახოდენ. მოვედით ლეგიონში, დაგვირიგეს ტანსაცმელები და დაგვიწყებიეს სწავლა. გაგვიხსნეს ასეულში ლენინის კუთხე. მოგვდის 4 ცალი „წითელ არმიელი“, 2 ცალი „კომუნისტი“, 2 ცალი „ახალი სოფელი“, 2 ცალი „სპარტაკი“ და სხვა. გვაქვს აგრეთვე სხვადასხვა წიგნები. წითელარმიელები მონდომებული არიან კარგად შეისწავლონ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა. წერა-კითხვის უცოდინარები ცოტა გვირევია, მაგრამ ისინიც მალე შეისწავლიან. წითელ-არმიელები ყოველგვარ მეცადინეობას დიდის ხალისით ეპყრობიან.

**შალვა ოქროშაშვილი**

## მე-5 ლეგიონი ექსკურსიაზე.

20 ივლისს ჩვენი ლეგიონის წითელ არმიელები ათასეულის უფროსის ბასილიას მეთაურობით გავემგზავრეთ ქუთაისის ბაგრატის ტაძარში ექსკურსიაზე. ტაძრის აგების ისტორია გაგვაცნო ქუთაისის რეალური სკოლის მასწავლებელმა ამხ. ხმალაძემ. მან აგვიხსნა აგრეთვე ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ექსკურსიებს, ძველი ნაშთების გაცნობას, რომელიც გაგვაცნობს ჩვენ ჩვენი წინაპრების კულტურულ-პოლიტიკურ მდგომარეობას და სხვა. წითელ-არმიელები მეტად დააინტერესა მასწავლებლის საუბარმა, იძლეოდენ შეკითხვებს. იქედან გავემართეთ ციხის ნანგრევის სანახავად, რომლის დათვალიერების შემდეგ დავეშვით დაბლა—მინდორზე. გაიმართა ცეკვა-თამაში, მუსიკა, სიმღერა და ბოლოს სიმღერითვე გავემართეთ ყაზარმისაკენ. ექსკურსიამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. სასურველია ასეთი სხვა მნიშვნელოვან ადგილებზედაც მოეწყოს.

**სამხკორი ახალციხელი.**

## ჩვენი შემოქმედება.

**მეექვსე ტერ-ლეგიონი.**

თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ტერ-ლეგიონში კედლის გაზეთების გამომცემლობის საქმე თავისი დანიშნულების სიმაღლეზე სდგას. სისტემატიურად იცემა სხვა და სხვა ნაციონალურ ენებზე ათასეულების მაშტაბით, როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით მდიდარი კედლის გაზეთები, რომელთა მუშაობაში ჩათრეულია როგორც ძირითად წითელ არმიელთა უმრავლესობა, ისე ცვალებადელები. ამ დღეებში გამოვიდა ლეგიონის ბიურო-კოლექტივის ორკვირეული ორგანოს „ხმა მე-6-სე ტერ-ლეგიონერისა“-ს მორიგი ნომერი, რომელიც თავისი გარეგნული შეხედულობით და მასალების რიგზე დალაგებით საუცხოვო შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე.

გაზეთის სათაურში მოთავსებული სურათზე სდგას ორი წითელი მოლაშქრე, ერთს ცალ ხელში თოფი უჭირავს, მეორეში—წითელი დროშა. მეორე წითელი მოლაშქრე ზის ქარხნის წინ და კითხულობს გაზეთს. შემდეგ მიდის დიდი ასოებით დაწერილი ლოზუნგები წიგნის მნიშვნელობის შესახებ.

გაზეთის ერთი მესამედი დათმობილი აქვს წიგნის კვირეულის კომპანიის გაშუქებას.

საერთოდ გაზეთში არის შემდეგი მთავარი განყოფილებები:

1) ჩვენი ცხოვრება, სადაც აღნიშნულია თვითეული ასეულის ცხოვრება და მოღვაწეობა თვითეულ დარგში.

2) სამხედრო საქმე, სადაც გაშუქებულია დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობა.

3) პარტიული ცხოვრება.

4) ჩვენი შემოქმედება.

5) სანიტარული განყოფილება.

6) იუმორი-კარიკატურით ლეგიონის სამხედრო სამეცნიერო წრის მუშაობიდან და ბოლოს 7) ჩვენი ფოსტა.

გაზეთში მოთავსებულ წერილების უმრავლესობა დაწერილია ცვალებადელების, სამხკორთა წრის წევრების მიერ. სამწუხაროდ ძალიან ცოტას შევხვდებით უფროსთა შემადგენლობის წერილებს ამ ნომერში, რაც მათ არ ეპატიებათ.

ამას წინად გამოსულ კედლის გაზეთის ფურცლებზე თითქმის უმრავლესობა უფ-პოლიტ-შემადგენლობის მიერ დაწერილი წერილები იყო მოთავსებული. თუ ამ ნაკლს გამოასწორებს კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია და ყველას ჩააბამს მუშაობაში, მაშინ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ კედლის გაზეთის გამომცემლობა მთელი ასი პროცენტით სრულიად ამართლებს თავისი დანიშნულებას.

**სამხკორი ნ. ანი.**

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## გავემგზავრეთ ალღუმზე.

12 ივლისს, საღამოს 4 საათზე 1-ლ ლეგიონის მე 3 ათასეული გაემგზავრა №-ში. წითელ-არმიელები აღტაცებით მიეგებენ ამ ლაშქრობას, ვინაიდან ისინი იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ ეს ალღუმი მათ მისცემდა დიდ პრაქტიკულ ცოდნას და გამოცდილებას.

ამხანაგები მხიარული რევოლიუციონური სიმღერით და ყიჟინით მიისწრაფოდენ დანიშნულ ადგილისაკენ.

გზაში წითელ-არმიელებს დაღლილობა არ ემჩნეოდათ. არცერთი მათგანი გზაში არ ჩამორჩენილა თავის ამხანაგებს.

თუმცა ამხანაგ მეთაური ყოველ ოთხი ვერსის გავლის შემდეგ ასვენებდა მათ 10 წუთით, მაგრამ წითელ-არმიელები გაიძახოდენ: წავიდეთ, არ გვინდა დასვენებაო.

საღამოს 9 საათზე ათასეული მივიდა დანიშნულ ადგილას, სადაც ამხ. ოდიშარიამ, რომელიც წინდაწინ იყო წამოსული, დაგვახვედრა კარვები დადგმული და გასუფთავებული, აგრეთვე ვახშამიც.

ნამგზავრი წითელ-არმიელები სიამოვნებით შეექცნენ ჩაის და პურს.

მეორე დღეს საღამოს 5 საათზე დაიწყო პოლიტ-მეცადინეობა, რასაც დაესწრენ მეთაურებიც; აგრეთვე მეცადინეობას გულდასმით უყურებდენ იქვე მომუშავე ზოგიერთი გლეხები.

**ვ. კოხრეიძე.**

## სპეციალური საგნების მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს.

პირველი საკავშირო ასეულის წითელი არმიელებმა ზამთრის პერიოდში გავიარეთ თეორიულათ სპეციალური საგნები სამხედრო საქმეში, რასაც ეხლა ბანაკით ყოფნის დროს ვითვისებთ პრაქტიკულად.

ჩვენი ბანაკის მახლობლად მოვაწყვეთ ტელეგრაფის სადგური, სადაც მორიგეობით იგზავნება წითელი არმიელები სამეცადინოთ.

ამით ჩვენ საშუალება გვეძლევა უკეთ შევისწავლოთ საკავშირო საქმე.

აგრეთვე იქვე სადგურზე არის მანქენის ლამპა და ღამღამობით გადიან წ. არმიელები შტანგობას.

გარდა ამისა გავდივართ ალღუმებზე და სხვა ნაწილებთან ვიჭერთ კავშირს ტელეფონის საშუალებით.

ყოველ შაბათს დილით ვაწარმოებთ სასროლო საქმეს, რაც დიდათ აინტერესებს ჩვენს წითელ-ამიელებს. ჩვენი ნაწილის წითელი-არმიელებს დიდი სურვილი აქვთ გაიმართოს შეჯიბრი სროლაში ნაწილებს შორის.

მაშინ ჩვენ ვაჩვენებთ ჩვენ ჩინებულ სროლას.

**სამხკორი: ვ. ვ—ლი.**

## რას ვაკეთებთ ბანაკში.

**სამხედრო პოლიტ. სკოლა.**

ჩვენ სკოლაში მეცადინეობა ყოველ დარგში გაჩაღებულია.

ჩვენ სკოლაში იმყოფება უფროსი და უნცროსი ჯგუფი. მაცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს.

ჩვენი ლექტორები დიდათ მონდომებულნი არიან ჩვენს სწავლაში. თავისუფალ დროსაც კი ჩვენთან არიან და გვიხსნიან ჩვენთვის გაუგებარ საგნებს.

**სამაცადინო ადგილები.**

მეცადინეობა გვიხდება მინდორში, სუფთა ჰაერზე, ფიჭვნარში.

**სამწყობრო მეცადინეობა.**

სამწყობრო მეცადინეობა სისტემატიურათ მიმდინარეობს ნაჩვენებ ცხრილის მიხედვით.

ჩვენთან არიან აგრეთვე სამოქალაქო ორგანიზაციებიდან სამხედრო საქმის შესასწავლად.

**დავაარსეთ წრეები.**

არის დაარსებული ჯერ-ჯერობით სამი წრე: დრამატიული, საბიბლიოთეკო და სალიტერატურო; დრამატიული წრე უკვე შეუდგა მუშაობას, პირველად დასდგა რუსების მეორე პოლკის წით. არმიელთა კლუბში უფასო წარმოდგენა.

წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა აქაურ ქართველ გლეხობაზედ.

**ჩვენი კავშირი.**

გვაქვს მჭიდრო კავშირი მეზობელ რუსის პარტ-სკოლასთან, მეორე პოლკთან და რაიონულ კომიტეტთან. გვყავს გამოყოფილი მომზადებული და რუსულ ენაზე მოლაპარაკე ამხანაგები, რომლებიც ესწრებიან მათ კრებებს და ვეცნობით ერთი მეორის ყოფა-ცხოვრებას.

**კავშირი სოფელთან.**

რაც შეეხება სოფელთან კავშირს ესეც მოგვარებულ იქნა მალე, გაზრახული გვაქვს ახლო ხანში რომელიმე სოფელზე ავიღოთ შეფობა, არიან გამოყოფილი ამხანაგები, რომლებიც უკვე წავიდენ სოფლებში მოხსენების გასაკეთებლათ.

**კურსანტი მიხო ცქიფურიშვილი.**

## მეტი ყურადღება სისუფთავეს.

პირველი საკავშირო და მესანგრე ასეულები ბანაკში მეზობლათ ცხოვრობენ. სამზარეულო და სასადილო ორივე ნაწილს ერთი აქვთ.

უნდა ავღნიშნოთ, რომ სასადილო არ არის ისე მოწყობილი, როგორც რიგი და წესია და არც სისუფთავე არის იქ დაცული.

სასადილოში არ არის საყოფი სკამები, რომ მეცადინეობით დაღლილი წ. არმიელი დაჯდეს და ისე ისადილოს. მაგიდები მეტად უსუფთაოა.

საჭიროა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება და მომავალში შეძენილ იქნეს სკამები და დასუფთავებული მაგიდები.

**სამხკორი ვ. ვანელი.**

# ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

## 1-ᲚᲘ ᲚᲔᲒ. ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲯᲠᲔᲓᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

რაც დრო მიდის, მით უფრო ნაყოფიერდება ჩვენი სკოლის კომუჯრედის მუშაობა. სკოლის კომუჯრედი თავის მუშაობის მთავარ მიზნად ისახავს წ. არმიელების პოლიტიკურად აღზრდა-განვითარების საქმეს.

კომუჯრედის სწორმა მიდგომამ ყოველგვარ საკითხებში დიდი გავლენა მოახდინა უპარტიო მასაზე, რაიც გამოიხატება უპარტიო წითელ მოლაშქრეების ლტოლვაში ჩვენს პარტიისაკენ. აგრეთვე მიქცეულია დიდი ყურადღება პარტწევრების გააქტივების საკითხზე. ჩვენს უჯრედს აქვს კავშირი ტყავტრესტის უჯრედთან, რითაც ჩვენ ვეცნობით ერთმანეთის ცხოვრებას. შესაფერისი ხელმძღვანელობა არის სკოლის ა. ლ. კ. კ. ჯგუფეზე, აგრეთვე კომუჯრედი იძლევა დირექტივებს მუშაობის ჩასატარებლად ჯგუფებში. კრებები იმართება სისტემატიურად, სადაც ირჩევა წითელ არმიელების მასისათვის საინტერესო საკითხები.

პარტკორი გ. დოლაბერიძე.

### სამხედრო პოლიტსკოლა.

15 ივლისს მოხდა სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედის მორიგი კრება. კრებას დაესწრო ყველა კომპარტიის წევრები, კანდიდატები და ლენინურ ახკომკავშირის წევრები.

დღის წესრიგში იყო: ძველი ოქმის დამტკიცება, კვირეულის მიმოხილვა საერთაშორისო მდგომარეობიდან, ახ. კომინტერნის აღმასკომის პლენუმის მუშაობის შესწავლა, განცხადების განხილვა და მიმდინარე საკითხები. ოქმის დამტკიცება გადაიდო შემდეგი კრებისათვის. საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთეს კურსანტებმა. იყო მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებლებმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცეს. შემდეგ განხილულ იქნა ამხ. ჩომახიძის განცხადება პარტიაში გადარიცხვის შესახებ, რაიც დაკმაყოფილებულ იქნა. მიმდინარე საკითხებში, კრებამ დაადგინა დაევალოს ბიუროს ზოგიერთი საკითხის წინასწარ განხილვა, რაიც შეუმსუბუქებს კრების მუშაობას და დიდ დროს არ წაართმევს.

ქ. გ. ჩიტაიშვილი.

## ᲩᲕᲔᲜ ᲙᲝᲛᲣᲯᲠᲔᲓᲨᲘ.

9 ივლის შესდგა 1, 2, და 3-ე შეერთებული ქვეითა ლეგიონის ბატარეიების კომუჯრედის ღია კრება. დღის წესრიგში იდგა: 1. ჭიათურის შავი-ქვის კონცესიის შესახებ და 2. მდივნის ინფორმაციული მოხსენება კომუჯრედის მუშაობის შესახებ. ჭიათურის შავი-ქვის კონცესიის შესახებ მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია წითელ-არმიელებთა შორის. იყო მრავალი შეკითხვები წითელ-არმიელების მხრივ, რაზედაც მომხსენებლიდან მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი.

კომუჯრედის მუშაობის შესახებ მდივანმა თავის მოხსენებაში აღნიშნა კომუჯრედის მუშაობა, რომელიც გამოიხატა შემდეგში: პარტიული მუშაობის გაჩაღება, ჩატარებულ იქნა ოთხი ღია კრება და ორი დახურული, სადაც ირჩეოდა როგორც ბიუროდან მიღებული თემები, ისე ადგილობრივი საკითხები. კრება კმაყოფილი დარჩა უჯრედის მუშაობით.

პარტკორი ძიძიგური.

## ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲘᲗ ᲞᲝᲚᲘᲢᲮᲔᲚᲘ.

1-ლ არტლეგიონის შეერთებულ გუნდში იყო პოლიტხელი ამხ. გასხსხურიძე რომელიც სისტემატიურათ გვამეცადინებდა.

მაგრამ მისი ბანაკში გადაყვანის შემდეგ შეწყდა ჩვენს გუნდში პოლიტიკური მეცადინეობა. საჭიროა დაინიშნოს ჩვენ გუნდში ახალი პოლიტხელი.

წ. არმ. გრ. ლოცობიძე.

## ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

**საბაზრო დღეების დაწესება.**

ზუგდიდის აღმასკომმა გადასწყვიტა დააწესოს სოფლებში საბაზრო დღეები, რომ ამით უფრო გაუადვილოს გლეხობას ქალაქის ნაწარმოებთა შეძენა და სოფლის ნაწარმოებთა გასაღება.

**გლეხების კომუნა.**

გლეხების კომუნა „წინსვლამ“ (შორაპნის მაზრაში) დაადგინა შეიძინოს ტრაქტორი.

**დავა საძოვრებზე.**

ახალქალაქის აღმასკომმა დაავალა მიწადმოქმედების განყოფილებას მოაგვაროს მაზრის სოფლებს შორის აღძრული დავები საძოვრების შესახებ.

**დაზარალებულთა დასახმარებლათ.**

გორის აღმასკომს განზრახული აქვს შუამდგომლობა აღძრას სასოფლო-სამ. ბანკის წინაშე გორის მაზრის ზოგიერთ სოფლებში სააგენტოების გახსნის თაობაზე, რომ ამით გაადვილდეს მიწის ძვრისაგან, მოუსავლიანობისაგან და დიდი ხამთრისაგან დაზარალებულ გლეხებისათვის სესხის მიცემა.

## „ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ“ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ.

### 1-ლ საარტილერიო ლეგიონში.

„წიგნის კვირეულის“ ღირსეულად ჩასატარებლად მზადება დაიწყო 28 ივნისიდან. წინასწარ ეწყობოდა ხმამაღალი კითხვები და ბაასები წიგნისა და ბიბლიოთეკის მნიშვნელობაზე, სადაც წითელ არმიელნი ეცნობოდენ მომავალ კვირეულის მნიშვნელობას.

3 ივლისს იქნა მოწვეული საბანაკო პოლიტსეკრეტარიატის მიერ საარტ-შეკრების საბიბლიოთეკო მუშაკთა კრება, სადაც მოგვეცა ინსტრუქციები „კვირეულის“ ჩასატარებლად.

ჩვენი ნაწილის სინამდვილესთან შეფარდებითი გეგმის გამომუშავების შემდეგ 4 ივლისს ლეგ. ბატარეების ბიბლიოთეკარები ღებულობენ ახალ კოლექტივებს ლეგ. ბიბლიოთეკიდან და ეწყობა სათანადოთ ლენ-კარვები.

7 ივლისს გამოდის სპეციალური საბიბლიოთეკო კედლის გაზეთი წითელ-არმიელთა წერილებით, ტარდება ბაასი და ხმამაღალი კითხვები ბატ. ბიბლიოთეკრებსა და წ.-არმ. აქტივისთა მიერ, პოლიტსაათებზე შუქდება კვირეულის მნიშვნელობა და ემზადებიან გასამართლების მოწყობისათვის „წიგნის მტერზე“.

№ რუსების ლეგიონთან შეთანხმებით მათი და ჩვენი წით. არმიელთა ფართე მასის დასწრებით კეთდება ქართულ რუსულ ენებზე მოხსენებები ლეგ. ბიბ-გამგის მიერ კვირეულის მნიშვნელობაზე.

ტარდება კომპანიები წით. არმიელებში ჟურნალ-გაზეთების გამოწერისათვის.

ბატარეიებთა შემადგენლობის 35—38 პროც. აქვე იწერს გაზეთ „ახალ სოფელს“ და „წითელ არმიელს“.

მოწვეულ იქნა საერთო უფპოლიტშემადგენლობის კრება, სადაც მიღებულ იქნა, რომ თითეულმა გამოიწეროს 15 მანეთის საჭირო ლიტერატურა.

პარალელურად ამ მუშაობასთან ტარდება ტეხნიკურად გაუმჯობესება ლეგ. ბიბლიოთეკის, შეკეთდა დაფლეთილი წიგნები, შევსო ახალი ბარათებით საალფავიტო სახე კატალოგისა და შეძენილ იქნა 200 მანეთის ღირებულების ლიტერატურა სარეკომენდაციო სიის მიხედვით.

სოფელთან დაახლოებას და მჭიდრო კავშირის განსამტკიცებლად საშეფო სოფელ №-ში მოწყობილ იქნა დასაჩუქრება ღირსეულ მკითხველ წითელ არმიელთა. წარმოითქვა სიტყვა „წიგნის კვირეულის“ და საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის შესახებ წითელ ჯარში, რამაც დიდი კმაყოფილება გამოიწვია დამსწრე გლეხებში.

სიგვიანის გამო გასამართლება „წიგნის მტრის“ გადადებულ იქნა.

ამის მაგივრად დაიდგა რევ. შინაარსის აგიტ-პიესა.

გაიმართა ცეკვა-თამაში და კმაყოფილი მოლაშქრენი და სოფლელნი გათენებისას დაიშალნენ.

გრ. ჩიჩუა.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **საბინაო სამხედრო სექცია.** ტფილისის აღმასკომის სამხედრო სექციამ იშუამდგომლა აღმასკომის წინაშე, რათა საბინაო კოოპერაციასთან დაარსებული იქნეს სამხედრო სექცია, სამხ. მოსამსახურეთათვის და უვადო შვებულებაში წასულთა ბინებით უზრუნველყოფის მიზნით.

— **დემობილიზაციით ჯარიდან** განთავისუფლებულ წითელ არმიელთა თავიანთ სამშობლოში დასაგზავნათ ტფ. აღმასკომის სამხედრო სექციამ აღძრა შუამდგომლობა საქ. ცაკის წინაშე საჭირო თანხის გაღების შესახებ.

— **სკოლებში მიღება** ტფილ. აღმასკომის განათლ. განყოფილებამ დაადგინა ყველა ტიპის სკოლებში ამ თავითვე დაიწყოს ბავშების მისაღები განცხადებების მიღება.

— **სასოფლო-სამეურნეო განათლება.** მიწად-მოქმ. კომისარიატის გეგმის თანახმად მომავალი სამოსწავლო წლიდან განზრახულია 15 სას.-სამეურნეო ტეხნიკუმის გახსნა.

— **საზოგადო სამუშაო.** შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით ამ დღეებში დაიწყება საზოგადო სამუშაო ჰალის გზის გასაყვანათ.

— **მოთხოვნილების ზრდა.** ამ ჟამად დიდი მოთხოვნილება შრომის ბირჟაზე აღმშენებელ მუშების და მემანქანეების.

— **რამდენი კაცი მუშაობს.** უკანასკნელი ცნობით მარტო ტფილისში, საზოგადო სამუშაოებზე მუშაობს 558 უმუშევარი.

— **ჩაის გასაღება.** ივნისის თვის განმავლობაში სახელმწ.-სახალხო მამულთა ტრესტმა გაასაღა 83.208 გირვანქა ჩაი.

— **ჯაგარის ექსპორტი.** ივნისის განმავლობაში გაიზიდა ამიერ-კავკასიიდან საზღვარგარედ 329 ფუთი ჯაგარი.

— **ამიერ კავკასიის მეთამბაქოებს** საერთო გადადებულ თანხიდან მოუწია სესხის სახით 2.470.000 მანეთი.

— **სამშენებლო მასალა გლეხებს.** მიწ. მოქ. კომ. სატყეო განყოფილებამ მიმდინარე წლის 1 ლ ნახევარში უფასოთ დაურიგა გლეხებს 389 ცალი ლატანი.

## ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ ᲐᲛᲮ. ᲜᲐᲕᲠᲣᲖᲐᲨᲕᲘᲚᲡ.

გაზ. „წითელ არმიელი-“ს №163-ში მოთავსებული იყო ნავრუზაშვილის წერილი სათაურით „სასურველია გაზეთის თავის დროზე მიღება“, სადაც ის აღნიშნავს, რომ თითქოს ყველა გაზეთები 2-რე არტლეგიონის საგაუბიცო ბატარეიაში მოდიოდეს დაგვიანებით დღის ორ საათზე, რაც სიმართლეს სრულებით არ შეეფერება. მე მიკვირს თუ როდის იყო ისეთი შემთხვევა, რომ გაზეთებს დააგვიანდა 2 საათამდე, როდესაც ის ყოველ დღიურად მოსდის ბიბლიოთეკა[illegible] დილის 10-საათზე და იშვიათად 11 საათზე.

ამხ. ნავრუზაშვილო, საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოისპოთ ასეთი ჭორები და სწეროთ ის, რაც სიმართლეს შეეფერება.

სამხკორი სკვინჩა.

## ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝ?

მეორე ქართულ მსროლელ ლეგიონის პარტ-ბიუროს კოლექტივში შემოტანილია განცხადებები ახალგაზრდა კომკავშირის წევრების მიერ და აგრეთვე უპარტიო ამხანაგების კ. პარ. კანდიდატად დასამტკიცებლად. ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს, თუ ვისმეს მოეპოება უარყოფითი მხარეების ცნობები მათი პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ 2-რე ქართ. მსრ. ლეგიონის პარტ-ბიურო კოლექტივში ერთი კვირის განმავლობაში დღიდან გაზეთში გამოცხადებისა.

1 ანდღულაძე გრიგორი ილიას-ძე. ექიმის თანაშემწე ოზურგეთის მაზ. წით.-არმიელებს: 2 ბაინდუროვი მიხეილ გრიგორის-ძე, ქ. ბათუმ. მცხოვ. 3 დანელია პავლედიმიტრის-ძე. სენაკის მაზრა 4 ქოქოშვილი დავით რაჟდენის-ძე. გორის მაზ. 5 სალუქვაძე გრიგორი გიორგის-ძე. შორაპნის მაზრა 6 კენჭოშვილი ვლადიმერ საჩინოს-ძე. ოზურ. მაზრა 7 ბუხრაშვილი პლატონ ბესარიონის-ძე. შორაპნის მაზრა. 8 ბაგრამოვი პეტრე ალექსის-ძე. გორის მაზრა. 9 ლაცაბიძე სიმონ მიხეილის-ძე. გორის მაზრა. 10 სუხიაშვილი დიმიტრი ოსების-ძე. გორის მაზრა. 11 გვარამაძე თედო ნიკოს-ძე. ახალქალ. მაზრა. 12 ბაზლაძე ლევან გრიგორის-ძე. გორის მაზრა. 13 ლომაია ილარიონ იაკობის-ძე. ზუგდიდის მაზრა 1 ჯუსოევი ილია ივანეს-ძე, წ.-არმიელი. ცხინვალის მაზრა. 2 ქოხონელიძე ილია გიორგის-ძე. რაჭის მაზრა. 3 ლომიტაშვილი ივანე ესტატეს-ძე. გორის მაზრა. 4 მანანია სილოვან ზაქარიას-ძე. ქუთაისის მაზ. 5 ბერაია აბრამ ბუდუას-ძე. ზუგდიდის მაზრა. 6. ორაგველიძე ტიტიკო სიმონის-ძე. ასისთავი ოზურგეთის მაზრა. 7. ნიკურაძე ვლადიმერ ილარიონის ძე მწ. მეთაური ქუთაისის მაზრა. 8. არახამია აქსენტი ივანეს-ძე. წ.-არმიელი ზუგდიდის მაზრა. 9. დაბუნიძე ლაზარე ჩიტოს-ძე. გორის მაზრა. 10. გურგენაძე გიორგი აბესალომის-ძე. ოზურგეთის მაზრა. 11. ჭაკნელიძე სიმონ ალექსის-ძე. ოზურგეთის მაზრა 12. ვადაჭკორია ვასილი მიხეილის-ძე. ოზურგეთის მაზრა. 13. ვასაძე თემრაზ ბესარიონის-ძე. ოზურგეთის მაზრა. 14. გოგიაშვილი დავით გიორგის ძე. ცხინვალის მაზრა. 15. ღამბარაშვილი არუთინ სტეფანეს-ძე გორის მაზრა. 16. ფუხაევ ვასილი დიმიტრის-ძე. ცხინვალის მაზრა. 17. ხომასურიძე მიხეილ სოლომონის-ძე რაჭის მაზრა. 18. შუბლაძე ნოე სიმონის-ძე. სენაკის მაზრა. 19. მარგიევი იასონ მზოლის-ძე. სიღნაღის მაზრა. 20. ბიდაროვ მიხეილ იოსების-ძე. გორის მაზრა. 21. ილურიძე სტეფანე ილიას-ძე. გორის მაზრა. 22. პარასტაევ მიხეილ პეტრეს ძე. გორის მაზრა. 23. კვაჭაძე ბენია ვლადიმერის-ძე. ოზურგეთის მაზრა. 24. ჩიბიროვ ივანე ანდროს-ძე. გორის მაზრა. 25. ელბაქიანი იაკობი ბესარიონის ძე. ახალქალაქის მაზრა. 26. ბექვაია რაჟდენ იოსების-ძე. სენაკის მაზრა. 27. ხარებაშვილი ალექსანდრე ივანეს ძე. სიღნაღის მაზრა. 28. დილბარიანი არამი კარაპეტის ძე. ახალციხეში მცხოვ. 29. თურმანიშვილი იაკობ მიხეილის-ძე. ახალციხის მაზრა. 30. თვაური შაქრო ივანეს-ძე. ცხინვალის მაზრა. 31. სიჭინავა ბაგრატ ალექსანდრეს-ძე. ზუგდიდის მაზრა. 32. ჯიჯეიშვილი ელისო კოსტას-ძე. ოზურგეთის მაზრა.

ბ. კოლექტივის პ. გ. მდივანი ეძგვერაძე.

---

ქართულ სამხ. პოლიტ-სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ-პარტიაში წევრებად მიღების შესახებ კომკავშირის წევრებს: 1. ამხ. გრიგორი კობახიძეს, 2. გრიგორ ჩიტაიშვილს. რისთვისაც ქარ. სამხ. პოლ. სკოლის კომ-უჯრედი სთხოვს აცნობოს მას თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო ზემო აღნიშნულ ამხანაგებზე.

კომ-უჯრედის პ. მ. მდივანი ვლად. კიკალაშვილი.

---

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.